ხელშეკრულება # 76/15-206
საქონლის შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 30 06 2015 წელი

ერთის მხრივ, სს "საქართველოს რკინიგზა", წარმოდგენილი მისი სატვირთო გადაზიდვების დირექტორის ალექსი ნიკოლაიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი») და მეორეს მხრივ, შპს "პოლიგრაფისტი," წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი თევდორაშვილის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი") ვხელმძღვანელობთ რა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ასევე, სს „საქართველოს რკინიგზის" 12.06.2015 წლის #1/24 დირექტორთა საბჭოს დადგენილების და სამეთვალყურეო საბჭოს 22.06.2015 წლის #13 ოქმის, სს საპარტნიორო ფონდის 25.06.2015 წლის #02/2-237 წერილის და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სს "საქართველოს რკინიგზის" სახსრებით, საქონლის შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს დანართით (ინვოისი) გათვალისწინებული ზომის, დასახელებისა და მახასიათებლების შესაბამისი მკაცრი აღრიცხვის სმგს კომპლექტის, კომერციული აქტისა და დაგზავნის უწყისის ფორმები (CPV კოდი _ 22800000) (შემდგომში საქონელი).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საქონლის ერთეულის ღირებულება განისაზღვრება თანდართული დანართის (ინვოისი) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 19 998,5 (ცხრამეტი ათას ცხრაასოთხმოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს დღგ-ს გარეშე, ხოლო დღგ-ს ჩათვლით 23 598,23 (ოცდასამი ათას ხუთასოთხმოცდათვრამეტი ლარი და ოცდასამი თეთრი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას მასზედ, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

4.2 შემსყიდველი უფლებამოსილია წარადგინოს პრეტენზია ხარისხისა და რაოდენობის თაობაზე, მიმწოდებელი ვალდებულია დააკმაყოფილოს წარდგენილი პრეტენზია და ჩაანაცვლოს დეფექტური საქონელი საკუთარი სახსრებით.

5. მომსახურების განხორციელების პირობები

5.1 საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღით. დაიშვება ეტაპობრივი მოწოდება.

5.2 საქონლის მოწოდების ადგილია: სს „საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, მისამართი: ქ. თბილისი, თამარ-მეფის გამზ. 15.

5.3. ხელშეკრულების ადმინისტრატორად განისაზღვრა – ნუგზარ პაპავაძე, ტელ: 591190469.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი შემსყიდველის მიერ მიღებულად, ხოლო მიმწოდებლის მიერ მოწოდებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შედეგად, რომელიც შედგება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად და დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.1.1 მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირია საბლანკო უზრუნველყოფის საწყობის სპეციალისტ აღმრიცხველი ლიანა გოგნიაშვილი.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტი დგება ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან სამი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისას „მიმწოდებელი" შემსყიდველს წარუდგენს სასაქონლო ზედდებულს, ხოლო 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება, კონსიგნაციით, ეროვნულ ვალუტაში.

7.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.

7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- მიღება-ჩაბარების აქტი (დედანი);
- სასაქონლო ზედდებული;
- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

7.4 მიმწოდებლის ან/და შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში საბოლოო ანგარისწორებამდე მხარეები ადგენენ ურთიერთშედარების აქტს.

8. „შემსყიდველის" უფლება-მოვალეობანი

8.1. „შემსყიდველს" უფლება აქვს, მოსთხოვოს „მიმწოდებელს« საქონლის შეუფერხებელი მიწოდება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „მიმწოდებელის« ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და „შემსყიდველის" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს, შეამოწმოს „მიწოდებული« საქონლის ხარისხი და ხარვეზის შემთხვევაში მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ხარვეზის აღმოფხვრა „მიმწოდებლისავე" ხარჯზე ან დეფექტური საქონლის ახლით შეცვლა.

8.3. „შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს „მიწოდებელს« მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით „მიწოდებული" საქონლის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება.

9. „მიმწოდებლის" უფლება-მოვალეობანი

9.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს მოსთხოვოს „შემსყიდველს" ამ ხელშეკრულების შესაბამისად და დადგენილი წესით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

9.2 „მიმწოდებლი" ვალდებულია „შემსყიდველის" მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას მიწოდებულ საქონელში არსებული ხარვეზი ან/და მოახდინოს წუნდებული საქონლის ახლით შეცვლა.

9.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 სექტემბრამდე.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,1 %-ის ოდენობით. ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა შეწყდება მას შემდეგ, რაც დარიცხული თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5 %-ს.

11.2 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 3 %, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით.

11.4 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) არაუმეტეს 5%-ს.

12. ფორს-მაჟორი

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

12.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
გ) ეპიდემიები;
დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
12.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
12.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა) და წარუდგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა ფორს-მაჟორული გარემოების არსებობისა და ხანგრძლივობის მითითებით.
12.5. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
12.6. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნა „შემსყიდველის« პირველადი რეგისტრაციის დროს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი« ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3 „შემსყიდველი« იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ის 2 კვირით ადრე წერილობით შეატყობინებს მიმწოდებელს ამის შესახებ.
15.4 ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალ-მემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულებისა და მუშაკებისთვის.
15.6 წინამდებარე ხელსეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას და შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.
15.7 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15.8 თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვლება წინამდებარე ხელშეკრულების მე-16 მუხლში მითითებული რომელიმე რეკვიზიტი, მხარე მოვალეა დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

15.9 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა ნაწილის გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

15.10. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

15.11. „შემსყიდველს« უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ან უარი განაცხადოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ „მიმწოდებელი« არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

15.12. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.13. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი«	„მიმწოდებელი"
სს „საქართველოს რკინიგზა"	შპს „პოლიგრაფისტი"
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15	ქ. თბილისი, სურამის ქ. #13
ს/კ 202886010	ს/კ 202886261
სს „საქართველოს ბანკი"	სს "ბანკი ქართუ»
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: CRTUGE22
ა/ა GE09BG0000000128695301	ანგარიშის # GE03CR0000000007193602
	ტელ: 599717099
ალექსი ნიკოლაიშვილი	ირაკლი თევდორაშვილი
სატვირთო გადაზიდვების დირექტორი	დირექტორი

საკერძინორო
ფონდი

N 02/2-237
25.06.15

სს „საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ კონსტანტინე გუნცაძეს

ბატონო კონსტანტინე,

თქვენი 2015 წლის 23 ივნისის N128 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ წინააღმდეგი არ ვართ სს „საქართველოს რკინიგზამ" განახორციელოს საბლანკო მომსახურების გამარტივებული შესყიდვა ზემოაღნიშნულ წერილზე თანდართული მასალების შესაბამისად.

პატივისცემით,

ნათელა თურნავა

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

[illegible] #8, თბილისი 0108, საქართველო
+995 32 2500448; info@fund.ge

1	ხელშეკრულება №			3	ხელშეკრულების საგანი: საბლანკო მომსახურების შესყიდვა	

2	კონტრაგენტი	შპს „კოლორპრინტი"	4	მიმღები დეპ/სამ.	საბლანკო უზრუნველყოფის განყოფილება		
ხელშეკრულების რანგი		კურატორი დირექტორის მიერ განსაზღვრული			გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული		
		რანგი			რანგი		
		I □	II □	III [illegible]	I □	II □	III □

5	ხელშეკრულების ადმინისტრატორი	თანამდებობა- საბლანკო უზრუნველყოფის გაყოფილების უფროსი		
		ნუგზარ პაპავაძე	[illegible]	
		გვარი, სახელი	ხელმოწერა	თარიღი
6	დირექტორი	ალექსი ნიკოლაიშვილი	[illegible]	
		გვარი, სახელი	ხელმოწერა	თარიღი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„პოლიგრაფისტი"

თბილისი, სურამის ქ. №13

ტელ: 2-95-00-97,

სს „ბანკი ქართუ"

ანგ.№ GE03CR0000000007193602

ბ/კ CRTUGE22

ს/კ 202886261

ინვოისი №124

30 ივნისი 2015 წელი

დ ა მ კ ვ ე თ ი

სს საქართველოს რკინიგზა

ს/კ 202886010

	შეკვეთის დასახელება ან ინდექსი	ზომის ერთეული	გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა	ერთ.ფასი (დღგ-ს გარეშე)	თანხა (დღგ-ს გარეშე) ლარი	ერთ.ფასი (დღგ-ს ჩათვლით)	თანხა (დღგ-ს ჩათვლით) ლარი
1	ბლანკი სმგს (კომპლექტი 5 ფურცელი - A3) ნომერაციით	ცალი	39920	0.5	19960.00	3592.80	23552.80
2	კომერციული აქტი (კომპლექტი 5 ფურცელი A4) ნომერაციით	ცალი	100	0.26	26.00	4.68	30.68
3	დაგზავნის უწყისი (კომპლექტი 4 ფურცელი A4) ნომერაციით	ცალი	100	0.125	12.50	2.25	14.75
				სულ			23598.23

(ოცდასამიათას ხუთასოთხმოცდათვრამეტი ლარი და ოცდასამი თეთრი)

დირექტორი /ი. თევდორაშვილი/

სს "საქართველოს რკინიგზის"
დირექტორთა საბჭოს

დადგენილება

№1/24 2015 წლის 12 ივნისი ქ. თბილისი

საბლანკო მომსახურების შესყიდვის შესახებ, გამარტივებული შესყიდვის გზით.

1. ცნობად იქნას მიღებული, სს „საქართველოს რკინიგზის" ფილიალ „საქართველოს რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების ფილიალის" 2015 წლის 11 ივნისის N27869 მოხსენებითი ბარათი.

2. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, საწარმოო გადაუდებელ აუცილებლობიდან გამომდინარე, საბლანკო მომსახურების შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის გზით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის 10.1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საუძველზე.

3. წინამდებარე დადგენილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული საკითხი შესათანხმებლად გადაეგზავნოს სს „საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭოს და სს „საპარტნიორო ფონდის".

4. წინამდებარე დადგენილების მესამე პუნქტით გათვალისწინებული თანხმობების მიღების შემთხვევაში, დაევალოს:

4.1. სს „საქართველოს რკინიგზის" ფილიალ „საქართველოს რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების ფილიალის" კომერციულ დეპარტამენტს შესაბამისი შესყიდვის მოთხოვნის მომზადება და წარდგენა ოპერაციათა მართვის დეპარტამენტის შეყიდვების სააგენტოში;

4.2. ეკონომიკურ დეპარტამენტს (ი.კერვალიშვილი) უზრუნველყოს სს „საქართველოს რკინიგზის" 2015 წლის ბიზნეს-გეგმის შესაბამისი კორექტირება;

4.3. სს „საქართველოს რკინიგზის" ოპერაციათა მართვის დეპარტამენტის შესყიდვების სააგენტოს (თ.ფერაძე)ფილიალ „საქართველოს რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების ფილიალის" კომერციულ დეპარტამენტის მიერ წარდგენილი შესყიდვის მოთხოვნის საფუძველზე განახორციელოს საბლანკო მომსახურების შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის გზით, 20 ათასი ლარის ფარგლებში, დღგ-ს გარეშე.